

თბილისის დღეებში ქალაქს მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულება შეემატა — გაიხსნა „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“. ჩვენი სტუმარია ცენტრის დირექტორი, ოჯახის ექიმი, ქალბატონი ირინე ქაროსანიძე.

ბანია კორკობაძე

— დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, რომ პირველადი ჩანდაცვის ქვაკუთხედს ზოგადი პრაქტიკა ანუ საოჯახო მედიცინა წარმოადგენს. მას ეფუძნებიან, რეალური, მიაღწერადი პირველადი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა შეუძლია. საოჯახო მედიცინა არ ებნება ჩანმართელობასთან დაკავშირებული პრობლემების მხოლოდ ნაწილს და ემსახურება მთელ მოსახლეობას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.

საბჭოური სისტემისგან შემკვიდრებით მიღებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სისტემის საოჯახო მედიცინის პრინციპებზე გადაჯანის რთული და ხანგრძლივი პროცესის პირველ ეტაპზე ბუნებრივად დადგა ოჯახის ექიმების მომზადების საკითხი. 1997 წელს ბრიტანეთის ორგანიზაცია ნიუ-ბაუს პროგრამის შექაბამისად „საოჯახო მედიცინის ცენტრების“

განვითარებისთვის გამოიყო 450 ათასი დოლარი. უკბოვლერბმა თვითონვე შეარჩიეს თბილისში ხუთი ობიექტი და მედპერსონალი ოჯახის ექიმებად გადამზადებისთვის. ინგლისელი კონსულტანტები ერთი წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებდნენ ტრენინგებს როგორც საქართველოში, ასევე ინგლისში (ლონდონსა და კემბრიჯში). ინგლისში გამოცდების ჩაბარების შემდეგ ლონდონის დიპლომის შემდგომი სამედიცინო და დენტალური ზოგადი პრაქტიკის ექიმის მასწავლებლის (ტრენინგის), ტუტორის (ოჯახის ექიმთა საქმიანობის კოორდინატორის) წოდება მოგვანიჭეს.

თბილისში კიდევ ოთხი საოჯახო მედიცინის ცენტრი გაიხსნება ვაკის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის, ბავშვთა №9, მოზრდილთა №28 პოლიკლინიკების, აერე-21"-ის ბაზაზე.

როგორ მიმდინარეობდა ოჯახის ექიმების მომზადება?

— პირველმა რვა ქართ-

ველმა ოჯახის ექიმთა ტუტორის, ტრენინგის წოდება ინგლისში მივიღეთ. ჩვენ უკვე მოვამზადეთ კიდევ 48 ოჯახის ექიმი. მათ შორის 8 ტრენინგერი.

როგორია ოჯახის ექიმის ფუნქციები?

— აღსანიშნავია ოჯახის ექიმის, როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო სპეციალობის წარმომადგენლის, უნიკალურობა. მისთვის ბაციენტი წარმოადგენს ფიზიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ მთლიანობას. მკურნალ-ავადმყოფის ურთიერთდამოკიდებულება სრულიად განსაკუთრებულია. ეს არის პარტნიორული კავშირი. ოჯახის ექიმი პასუხისმგებლობას იღებს ავადმყოფობის განვითარებამდე პერიოდზე, მკურნალობის, განკურნების, რეაბილიტაციის პროცესზე. ეს არის ყოველსომცველი, უწყვეტი, კოორდინირებული სამედიცინო დახმარება.

ოჯახის ექიმის მოქმედების არეალი ფართოა. მას ევალება ბავშვების, მოზრდილთა, ორსულების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია; ჩანმართელთა და ავადმყოფთა სამედიცინო განათლებაზე

ზრუნვა; ჩანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრება; უმბიმესი მდგომარეობის დროს დახმარება (შესადლოთ არასამუშაო და ღამის საათებში); მცირე ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება; იმ საჭირო კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვით მოხდება ბაციენტის სპეციალიზებულ დაწესებულებაში გაგზავნა; ყველა იმ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რომლის შესრულებაც შეიძლება ამბულატორიულად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, დიაბეტის, მიბერტენზიის, ბრონქული ასთმის, ხანდაზმულთა პროფილაქტიკა-მკურნალობას. ოჯახის ექიმის ფუნქციებში შედის ბავშვთა და მოზარდთა იმუნოპროფილაქტიკური აცრების ჩატარება).

ამჟამად რა პროექტები ხორციელდება?

— მზადდება 38 ექიმი, გრძელდება ტრენინგები, მუშავდება ავადმყოფთა წამლებით უზრუნველყოფის პროგრამა, მზადდება პირველი ქართული სახელმძღვანელო ოჯახის ექიმისთვის.

უახლოესი მომავლისთვის გათვალისწინებულია



ირინე ქაროსანიძე: ოჯახის ექიმი პასუხისმგებლობას იღებს ავადმყოფობის განკურნების პროცესზე

საოჯახო მედიცინის ფაკულტეტის შექმნა, რაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საოჯახო მედიცინის, როგორც აკადემიური დისციპლინის, ჩამოყალიბებას. იმედი მაქვს, საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი, ახალშექმნილ

ფაკულტეტთან ერთად, გააგრძელებს ოჯახის ექიმების, ექთნების, მენეჯერების მომზადება-გადამზადებას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რეზიდენტურისა და მინორეზიდენტურის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ინფორმაცია თბილისში საოჯახო მედიცინის ცენტრების გახსნის თაობაზე

მსოფლიოს მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემა ოჯახის ექიმის ინსტიტუტს ეფუძნება. საოჯახო მედიცინის მოდელის განვითარებას ითვალისწინებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკაც, რომლის მთავარ ელემენტს საქართველოში, პირველადი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს, რაც დამყარებულია ოჯახის ექიმის ინსტიტუტის დამკვიდრებაზე.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების მიზნით 1996 წლიდან დღემდე არაერთი რთული და მრავალმხრივი პროექტი განხორციელდა.

საქართველოს მთავრობისა და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ძალისხმევითა და ერთობლივი თანამშრომლობით, კარგი საფუძველი შეიქმნა საოჯახო მედიცინის დანერგვისა და შემდგომი განვითარებისათვის. განსაკუთრებული დახმარება, ამ საქმეში, საქართველოს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა გაუწია. ბრიტანეთ-საქართველოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში (რომლის დაფინანსება 1.300 000 ფუნტი სტერლინგით განისაზღვრება) მისი დაწყებიდან დღემდე საკმაოდ სერიოზული სამუშაო შესრულდა:

- მომზადდა ის ადამიანური რესურსი, რომელმაც საოჯახო მედიცინის მოდელის ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ოჯახის ექიმები (55) და ოჯახის ექიმების მასწავლებლები (16), ზოგადი პრაქტიკის ექთნები და ექთან-მასწავლებლები (8), ზოგადი პრაქტიკის მენეჯერები და მენეჯერ-მასწავლებლები (5);
- გარემონტდა და აუცილებელი სამედიცინო-სასწავლო ინვენტარით აღიჭურვა თბილისის ხუთი პოლიკლინიკა - თბილისის #1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი, 9 მოზრდილთა პოლიკლინიკა, 9 ბავშვთა, 17-ე და 28-ე მოზრდილთა პოლიკლინიკები, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები. დღეს ეს ცენტრები მზად არიან დაიწყონ ფუნქციონირება ახალი „საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სტატუსით.
- ტრადიციული, უბნის თერაპევტების, პედიატრებისა და ვიწრო სპეციალისტების ნაცვლად, ამ ცენტრებში პაციენტს სამედიცინო დახმარებას ოჯახის ექიმი გაუწევს, რომელსაც ღრმა პროფესიული კომპეტენცია საშუალებას აძლევს მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი დახმარება აღმოუჩინოს ყველა ასაკისა და ორივე სქესის პაციენტს, როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქო-სოციალური პრობლემების შემთხვევაში.
- ამას გარდა, საოჯახო მედიცინის ცენტრებში პაციენტს უამრავი სიახლე ელის: სასიამოვნო, კომფორტული გარემო, სამედიცინო პერსონალის თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება, ბავშვებსა და მოზრდილებში გავრცელებული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდები, განსაკუთრებული ტიპის მომსახურება მოზარდების, მოხუცების, ორსულებისა და ქრონიკულად დაავადებული პაციენტებისათვის.

იმედი გვაქვს, ყველაფერი ეს და, რაც მთავარია, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება დღითი-დღე სულ უფრო მეტი პაციენტის მოზიდვის საშუალება მოგვცემს, რომელთა ჯანმრთელობაზე სათანადო ზრუნვა, მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოკლე ხანში, დაადასტურებს საოჯახო მედიცინის მოდელის უპირატესობას და ხელს შეუწყობს მისი შემდგომი განვითარების პროცესს.